KA000059516111922

№4529-03
18 / მარტი / 2022 წ.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ილია დევიძეს

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ალექსი ლოლიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ილია,

გაცნობებთ, 2020 წელს, ქუთაისის საქალაქო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში, ხოლო 2021 წელს სენაკის რაიონულ სასამართლოში დასრულდა სახანძრო სისტემების მონტაჟი, მათ შორის დამონტაჟდა სახანძრო ჰიდრანტები დიამეტრით 110მმ, სადაც ამ ეტაპზე მისაყვანია და დასაერთებელია წყალი. ასევე, სენაკის რაიონული სასამართლოდან, შემოვიდა შ.ს.ს. საგანგებო სიტუაციების სამსახურიდან შემოსული კორესპოდენცია, საიდანაც ირკვევა, რომ სენაკის რაიონული სასამართლოს სახანძრო ჰიდრანტის წყალზე დაერთება აუცილებელია, სენაკის რაიონულ სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციებზე დროული და ეფექტური რეაგირებისთვის. აქვე ავღნიშნავთ, რომ ანალოგიური სიტუაციაა ქუთასის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, აქაც სახანძრო უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, აუცილებელია სახანძრო ჰიდრანტების წყალზე დაერთება.

ზემოაღნიშნულ რეგიონებში ოპერირებს შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

სემეკის 26.11.2008წ. N32 დადგენილების დანართის N3-ის შესაბამისად, 90მმ-110მმ ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური დღგ-ის ჩათვლით (ლარი) სხვა მუნიციპალიტეტებში შეადგენს 7000 ლარს, ხოლო თვითმმართველ ქალაქებში 9000 ლარს, თუმცა ამავე დადგენილების მუხლი 18-1 მე-2 პუნქტის საფუძველზე, „(მიერთების მსურველი (განმცხადებელი) ვალდებულია, განაცხადის წარდგენამდე გადაიხადოს განაცხადში ასახული, წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის არანაკლებ 50% (გარდა ამ მუხლის 21 და 22 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხოლო დარჩენილი თანხა გადაიხადოს (თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდნენ სხვა პირობებზე) წყალმომარაგების დაწყების თარიღიდან 10 დღის განმავლობაში) განაცხადის გასაკეთებლად გადასარიცხია:

1) 50% -3500 ლარის ოდენობით. გადახდის დანიშნულებაში მიუთითონ **„სენაკის რაიონულ სასამართლოში აბონენტზე N3233629 სახანძრო ჰიდრანტისთვის წლის მიყვანა-მიერთების ღირებულება“;**

2) 50% -4500 ლარის ოდენობით. გადახდის დანიშნულებაში მიუთითონ **„ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთვის N3021921 სახანძრო ჰიდრანტისთვის წლის მიყვანის ღირებულება“**;

3) 50% -4500 ლარის ოდენობით. გადახდის დანიშნულებაში მიუთითონ **„ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსთვის აბონენტზე N3047052 სახანძრო ჰიდრანტისთვის წლის მიყვანის ღირებულება“.**

ასევე განაცხადის გაკეთებისთვის ასევე აუცილებელია, ჩემს სახელზე გაიცეს მინდობილობა.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ საბუღალტრო აღრიცხვის და იურდიულ სამმართველოებს სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი

ალექსი ლოლიშვილი